

შპს “ემ ჯი იურიდიული ოფისი”

2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	1 485 643
არამატერიალური აქტივები	5	475
გრძელვადიანი ინვესტიციები	6	1 002 165
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 488 283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 695 988
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1 401 717
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 097 705
სულ აქტივები		5 585 988
ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		600 000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		600 000
საგადასახადო ვალდებულებები		401
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	8 124
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8 525
სულ ვალდებულებები		608 525
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		163
გაუნაწილებელი მოგება		4 977 300
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		4 977 463
არამაკონტროლებელი წილი		-
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5 585 988



შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“


კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019
პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი
ამონაგები	9	2 590 417
ამონაგების თვითღირებულება		(686)
საერთო მოგება		2 589 731
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1 534 425)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		164 815
მოგება დაბეგვრამდე		1 220 121
მოგების გადასახადი		(488)
წმინდა მოგება/ზარალი		1 219 633
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1 219 633
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		-
მოგება/ზარალი		1 219 633

შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2019	163	3 757 666	3 757 829	-	3 757 829
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-		-	-	-
გაცემული დივიდენდები		-	-	-	-
პერიოდის მოგება		1 219 633	1 219 633	-	1 219 633
ნაშთი - 31.12.2019	163	4 977 300	4 977 463	-	4 977 463



შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემ ჯი იურიდიული ოფისი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 28/05/2012). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №34, მე-7 სართული. მისი ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო საქმიანობა იურიდიულ საკითხებში.

შპს ემ ჯი იურიდიული ოფისი-მა 15/10/2019-ში დააფუძნა კომპანია შპს უვა (ს/კ 405359865) რომლის 100% წილის მფლობელს თავად წარმოადგენს.

შპს უვა-ს მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახეობები.

დირექტორი: არჩილ გიორგაძე (პ.ნ. 01003009664)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 2 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის

არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 4.

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები
თვითღირებულება	ლარი
1 იანვარი 2019 წ.	462 377
შემოსვლა	726 761
გასვლა	
31 დეკემბერი 2019 წ.	1 189 138
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2019 წ.	(1 064)
წლიური ცვეთა	(22 266)
გასული აქტივის ცვეთა	
გაუფასურება	
31 დეკემბერი 2019 წ.	(23 330)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019 წ.	1 165 808

შენიშვნა 5.

არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივი
თვითღირებულება	ლარი
1 იანვარი 2019 წ.	6 000
შემოსვლა	
გასვლა	
31 დეკემბერი 2019 წ.	6 000
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2019 წ.	(4 947)
წლიური ცვეთა	(578)
გასული აქტივის ცვეთა	
გაუფასურება	
31 დეკემბერი 2019 წ.	(5 525)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019 წ.	475

შენიშვნა 6.

გრძელვადიანი ინვესტიციები

2019

ლარი

სხვა კომპანიებში, წილის სანაცვლოდ
ჩადებული ინვესტიციები

1 002 165

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019

ლარი

სავაჭრო მოთხოვნები

382 989

გადახდილი ავანსი

52 711

დეპოზიტები და გაცემული სესხები

1 237 949

მისაღები პროცენტი

85

გაცემული სესხზე დარიცხული მოგების

2 884

გადასახადის აქტივი

მოთხოვნები საწარმოს პერსონალის

166

მიმართ

იჯარის დეპოზიტი

19 204

სულ: 1 695 988

შენიშვნა 8.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2019

ლარი

სავაჭრო ვალდებულებები

4 059

სხვა ვალდებულებები

4 064

სულ: 8 124

შენიშვნა 9.

ამონაგები

2019

ლარი

საქართველოში გაწეული მომსახურება

2 282 010

საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება

308 407

სულ:

2 590 417

შენიშვნა 10.

ადმინისტრაციული ხარჯები

2019

ლარი

დასაქმებულთა ანაზღაურება

(1 008 911,65)

ცვეთა და ამორტიზაცია

(47 269,26)

საპროცენტო შემოსავალი:

14 337,66

იჯარის ხარჯი

(145 619,60)

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

(346 961,75)

სულ:

(1 534 425)

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 30 სექტემბერს.